

ცნობის უპირველი

სურათებიანი დამატება

თავდაპირველი

(დასახული *)

II

იმ დამსჯელ და დღეებში ბიძა-ჩემთან ვიყავით ვახშმად. დღეაღარე გამოვიტყუართ; დანარჩენი ქალბები მალე წავიდნენ წამოვიდნენ, მამაკაცებმა კი სურფა ბაღში გადაიტანეთ და გვიარბამდის ღვინის სმაში ვიყავით გართული. მე კოტას ესვამდი და, თუმცა მომეცა, მაგრამ არ დამეშვარაღვარ კი. დანარჩენები ერთმანეთს შეეჯიბრნენ, დაითვრნენ, ჯერ წაიჩხუბნენ, მერე შერიგდნენ და, როცა ქაჩი გამოვლიათ, იქვე მწვანეზე მიწვნენ და მიიძინენ. მე შინისკენ წამოვედი.

ზაფხულის ჩემი, ნაზი და თბილი დამე იყო. საესე და მოკაყაყე მთვარე მთისკენ გადახრილიყო და ირგვლივ ყოველღე ვერცხლის ნაბით დაეკურა. ოდნავ ნესტიანი, თბილი ჰაერი გაყურებლიყო და დღის ნიაგის მოლოდინში ისვენებდა, სთვლდა.

მტკვარი დღუნებდა, ფუსფუსებდა და თავის ნაპირებს, წამიან ბუჩქებს, ბალახს, ხეებს და მთებს რაღასაც ეჭურჩულეებოდა. ისინიც გაუნძრევლად იდგნენ და სულგანაბულნი ყურს უდგებდნენ მტკვრის საზაფხულო არაკს. საღვარზე მატარებლის ხანგრძლივი სტვენა ვაისმა და სამარისებური სიჩუმე დაარღვია. სტვენა ჯერ მახლობელ ტყეში განმეორდა, მერე ხეობაში და ბოლოს შორს, სადაც მთების უკან გადაიკარგა. სტვენის გუზური და რახრახი მოჰყვა. ეს რახრახი და გუზური თანდათან ხშირდებოდა და თანდათან ქვევით, მტკვრის დაყოფაზე, იკარგებოდა. ბოლოს, ათიღე წუთის შემდეგ, მხოლოდ ოდნავ გასაგები შრაილი-ლა მოისმოდა. მალე ისიც მიწყდა, გაჰქრა და ირგვლივ კვლავინდებური დუმლით, არარაობა და სამარისებური მუღღრობა ჩამოვარდა.

შინ რომ ამოვედი, მამლებმა მამამედ იცივლეს. ტანთ გაციხაზე, მაგრამ არ დაეწყეთ, ფანჯარას მიუღუქეთ და გარედ დაიწვიე ექვრა. მთვარე, საცაა, ჩახსლას აპირებდა, იმის შუქი როგორღაც მიიზინდა, შესუსტდა და ფერი ეცვალა. ხეობიდან წამოსულმა დილის სიბი ჯერ კაცებს ჩამოუჭროდა, ფოთლები აპრილა, აფუსფუსა და გამოაღვინა. მერე სახლს შემოიკრინა გარემო, ოთახში შემოსილიდა, ირგვლივ შემოიბრინა და ლია კერებიდან მეორე ოთახში გავარდა. ქვევით, მტკვრის დაყოფაზე, სადაც მატარებელი შთანთქმა, ცას მტკვრის ფერი ზოლი გადაველო.

ტვინი გახურებული მქონდა, თავი მიბეუოდა, საფეთქლებში ჩაქურებს მცემდნენ და ტანიც მიკაქვლებდა. ნახევარსათვის განმავლობაში ათასჯერ დავიპირე იქ, ეკასთან გასვლა,

მაგრამ ვერ გებდავდი; ჩემის თავისა მეშინოდა, ვილასიცა მცხენოდა, რაღასაც მაგრად ვყავდი შემოკრილი და ადგილიდან დამერის ნებას არ მძალდევდა. მერე კი, როცა ნათლად და გარკვევით წარმომიდგა თვალწინ მთავრის შუქით განათებული ეკას საწოლი, ზედ მოლოარე ეკა, მისი მოღუნებული და გვერდზე გადმოყრილი მკლავები, გაბურბენილი თმა და ოდნავ გახსნილი წითელი ტურქები, უხილავ ძალას ხელიდან გავუსხლტა და ჩუმად, ფხაკურევით, ეკას ოთახისკენ გავწყვი. იმის კარებთან გავჩერე და ყური მივეუღე. ყველგან სიჩუმე იდგა. რაღას ხელი წვაველე, გამოვადე, შევედი და შევედქეთ თავში თითქო ზარებს მირეკვინდენ, საფეთქლებში რაღასაც რახრახები გაუღოდა, ყელშიაც ნერწყვი მომწვავა და სუნთქვის მიშლიდა. ფხებმა კანკალი დამიწყა, პირისახეზე აღმური ამივიდა და თვალწინ ისე მომამწვა სისხლი, რომ ერთ წუთს ვეღარას ვებდავდი.


ფხაკურებით, სულგანაბული მივედი და დავიხარე. რამდენისამე წუთის შემდეგ ეკა ჩემს მკლავებში ფთხრიალებდა. როგორ დავაშტერდი იმის წყნარ პირისახეს, რას ვეჭურებოდა, რას ვაპირებდი და როგორ გამოიღვინა — თითქმის აღარ მახსოვდა. ყველაფერი დამევიწყდა, თავებზე დამებვა, თვალთ დამიხინდდა და გონება ამერია. მხოლოდ ის მახსოვდა, რომ ჯერ განუშვებს ვახოვდი, მერე რაღაბის ბოღვა დაიწვიე და ხმის კანკალი არეულ-დარეულად ხან ეცხეფებოდა, ხან ეცხეულდებოდა, ხან ემუქრებოდა, ვაფთხოვლებდი და ვარგებდი. მერე ორთავე ხმის ამოუღებლად და უხმოლ ბრძოლა დაიწყეთ.

ვიბრძოლით მეღვარად, გებრახებით და მთელის ძალ-ლო-ნით, არც ეკა და არც მე ხმის აღარ ვიღებდით და მხოლოდ მხიმედ ეხენეშავდით, გებრახობდით და ერთმანეთს არ ვინდობდით. ორივენი ოვლში ვიყავით გაწურული; თმები აწყვლილი გვექონდა და ძლიერ-და ვსუნთქავდით. ეკას თანდათან ღონე ქლევდა და ძლიერ-და მიწვედა წინააღმდეგობას. თვალბები მილულა, მიეშვა, მიიბინდა და მიყუნდა. ერთის წუთით ბრძოლა შევეწყვიტეთ, ვისვენებდით. მე მეგონა, გავიზარჯვე-მეთუ და ოდნავ ხელბები მოუეშვი; მაგრამ უცებ, მოულოდნელად და ელვისავით სწრაფად, გულში მჭრა ორივე ხელი, გვერდზე გადმომისროლა, თევზივით გამომისხლტა ხელიდან და პერანგის ამრა აიფანჯე გავარდა.

მეც თან გავცე. ეკა თეთრ მოჩვენებასავით თხუთმეტ სანფერხის კბე ორის ნახტომით უკან დაიტოვა და თვალის დახამანებაზე კაცლების ჩრდილოეთი შევარდა.

მეც თან გავცე. ჩემს წინ, ათიღე ნახაჯზე, თეთრი მოჩვენება საოცარის სისწრაფით მისრიალებდა. მე ეცხედავდი თეთრ მოშრილვ პერანგს, ეკას ფხებებს, ეცხედავდი იმის გაბურბენილს და ჰაერში გაშლილ თმას, ტიტველა ხელბებს, კისერს და მთელის ჩემის არსებობა, მთელის ჩემის ძალ-ლო-ნით მივისწრაფოდ აღმპერანგისა, თმისა, ხელბებისა და ტ-

*) იხ. „დამატება“, № 839.



პირველი სიცილიი.—ქიჩბავა დავითა

ნის დასაპერად. ხანმოკლე და გიჟურ სირბილს შემდეგ წამოვიწიე და ხელები წინ გაიშვირე მაგრამ თურჯმა პერანგმა იქვე ცხვირწინ გამიშრილა, ხელიდან გამიხსტა, გვერდზე გადაუხვია და ვახუშტი შევრია.

მეც მივეყ. ვენახში ფაჩი-ფუჩი, შრიალი და საშინელი ხმაურობა აეტტებო. ჩვენის ხელებითა და ფეხებით მომტყრეული ვახის ნორჩი ულორტები ხან აქუთ ცვიოდა, ხან იჩით. თეთრი პერანგი ხან პირდაპირ გარბოდა, ხან მარჯვნივ უხვევდა ხან მარცხნივ. გზა ვუყუდე და დასაპერად ხელები გავშალე, მაგრამ ეკას მაგიერ ვახს წაიფაყლა. ისევ გამოუვლტქი და ხელმოურედ დავეწიე, მაგრამ ვახუშტი ფეხები გამხლართა და პირქვე დავეცი. იმავე წუთს ღობის ღაწაღაღაწი მომესმა. თეთრმა პერანგმა ღობეზე გადაიფეხა და მიიშალა.

მეც თან გადავიყ. ეკა ახლად შემოსულ ყანაში შევრია და მიბრბოდა... საშინელი, საოცარის სისწრაფით მიპჭროდა. არც ეკლებს, არც არხებს და არც ორმოებს უკრადლებს არ ვაქცევდი, ვერც კი ვიწმინდვი და ეკას აჩრდილივით მივედვი. ერთ ორჯერ წამოვიწიე კიდეც, მაგრამ ის ყოველთვის ხელიდან მისხლტებოდა, ფოცხვერივით გვერდზე მიბტებოდა და თმა გაშლილი ყანას აპობდა, კვალს სტოვებდა, არხებზე ხტებოდა და მისრიალებდა. დაიღალა, თავი უკან გადამოვიღო და ნაბიჯს უკულო. მე უკანასკნელი ძალღონე მოვიკრიბე და სირბილს ვუმატე. მოიხედა და დაინახა, რომ დევნივ, დაინახა, რომ, საცაო, უნდა წავეწლოდი, მაგრამ

იღარც ნაბიჯს მოუმატა და აღარც გვერდზე გავტომა სცადა. ერთი წუთის შემდეგ ყანიდან გავარდა და ბუნქნარში შევრია, მაგრამ იმავე წუთს ერთ დიდ კუნელას მოეფარა და შესდგა. ის იყო უნდა წაქცეულიყო, მაგრამ მივეწიე და ოფლიმი გაწურული და შრითოლივარ ეკა გულზე მივისვენე. დალილი, დაქანცული და მოშვებული ხელებზე გადმომსვენენა და თავი მხარზე მომაყრდნო. თრთოდა, კანკალებდა და სულს ძლივს-ღა იბრუნებდა. ორთავეს გული მძლიავრად გვიცემდა, ორივენი ძლივს-ღა ვსუნთქავდით. ეკამ ფეხლებიმიღოლა, მოეშვა, მოდუნდა და ისვენებდა. მე მუხლები მიკანკალებდა, თმა შუბლზე მიმპროდა, თავი გაბრუებული მქონდა და შიგ რაღაც ხმაურობდა.

ცოტახნის შემდეგ, ეკამ ხმა ამოიღო: მებეწეწებოდა, მემუდარებოდა, მიხოვდა, ტიროდა, შებრალებს მიხოვდა და ჩემს მოსარბილებლად მყოცნიდა, მაგრამ მე აღარც ხეყწნა მესმოდა, არც მუდარა და არც თხოვნა.

იქ, მტკვრის პირას, კუნელის ძირში, ეკამ თავისი უმანკოება და ახალგაზრდობა დააჩაჩა. თვითონ—კი უსულყო, უგულყო და შერცხვენილი იქვე ნამიან ბალახზე პირქვე იწეა და ჩუმიდ ტიროდა. მთელი ტანი უკანკალებდა და უთრთოდა შავი, ბალახ-ბულუხით სავსე თმა როგორღაც დაქმუქვნილი და არეულ-დარეული მქონდა. ნამიანგან დასველებული პერანგი ზოგან გატოლახებული იყო. ცოტა მოშორებით, კუნელას მეორე მხარეს მე ვიდექი და გაშვებული, შუბლ-შეშვებული ვაღმა ვაგიყურებოდი.

გათინდა. ღრმა ხეობიდან ცივმა ნიავმა დაპებრა, ფოთლები ააშრილა, ბალახი აასისინდა და ყანა ააღელვა; აღმოსავლეთით ცას მოწითალო ფერმა გადაპკრა. მტკვარი შუბოდა, გრიალბდა და ეს შუბლი ხან სუსტდებოდა და საცლაც ქვევით ქალაქი იკარებოდა, ხან კიდეც—ძლიერდებოდა და იქვე, ბუნქების უკან მოისმოდა.

თავი მტკოდა. ფეხები გაყინული მქონდა. ნამიანგან თავიდან ფეხებამდის სველი ვუყავი. ტანსაცმელი ტანზე მივკროდა და მაგრეოლებდა. მცხვენოდა, მუშნოდა, ვიღასაც ვემაღლებოდი და თვალს ვარდებდი. არ ვიცილო, რა მომეფიქრა და როგორ მოექცეულიყავი. მინდოდა სადმე გავქცეულიყავი, გაეპარულიყავი. იქაურობას სახუდამოდ მოვშორებულყავი და ყველაფერი დამევიწყა, მაგრამ ვერაფერი მომაგონდა, ვერაფერი მოვიგონე. ჩემს თავს, ვინცაა, ტენის-ღა და მესხივრების ძალას ვატანიდი და მინდოდა მომეხებებინა რამე და ისე შევპარულიყავი სახლში, რომ არავის ვაგეო ჩემი შერცხვენა და არავის დაენახა ჩემი სიტუტელმეფიკრობა, თავს ვიმტყრევედი, მაგრამ ფეხების ძივდ დაწვეტული, დახბარული და არეულ-დარეული მქონდა; ეს ნაწყვეტები ერთი-მეორეზე ვერ გადავაბი, თავი და ბოლო ვერ გავუხე, ვერ ვუპოვე და... გავმინე, გავმინე, გავშეშდი.

— წაივდი...—ძლივს წაიჭირებულე და ყანას, ბილიცკებსა და გზას დაეაშტრედი. არავინ მოსჩინადა.

— აღმე, წაივდი...—გავიფიქრე და პირი გვერდზე მივიღე.

ეკა წამოიღვა. მეც მივბრუნდი, მაგრამ პირზე ვერ შევხედე, თვალი ვერ გავსწორე და თავი დავღუნე. ორივენი მოვიკუნტეთ, მოვიბლუნძეთ, დეპარტარავდით, დავიკუნუთ და ფრთხილად ყანაში შევედით. ყანა მაღალი იყო, მაგრამ ჩვენთვის ითიქო დაბალდა, დამოკლდა და შეთხელდა. ორივენი ეჩანდით. ჩქარის ნაბიჯით მივდიოდით, თითქმის მივბრუნდით, მაგრამ გზაც ვაგრძელებდით, ვადიდებდით. ქურდებივით მოვიპარებოდით, თვალს ვაკეცვებდით, სულ აქეთ-იქით ვიქტირებოდით და ყოველ ბუქსაზე და სვანს ვზევირავდით. ეკა აღარ ტროდა. პირისახე მოღუშული და გამხდარი ჰქონდა. თვალები ჩაუღრმავდა და ისე იქტირებოდა, თითქო ერთსა და იმავე ღროს პირდაპირაც ხედავდა, მარჯვენაც და მარცხენაც. ვენახში შემოვედით და ვაზებში ფაჩი-ფაჩი ავტეხეთ. სახლი რომ დავინახე, შემეშინდა და ფეხებმა კანკალი დამიშალა. ნაბიჯს ვაუბნებდით ვადვამლი. უკან გაბრუნება, ვაქცევა და დამალვა მიზნობდა, მაგრამ შიშსა ძლიერ და დიდს სიფრთხილით გზა ვანვავებდით. ყოველ ყლორტსა და დიდ ბალახს გზიდან ხელით ვიშორებდით, გზას ასე ვიკაფავდით და ვიპარებოდით.

ვენახის ბოლოში გავედით და შეფერხდით. ეკას გზა-ვხედე და შევშინდი: ორ დიღს ვაზს ამოჭარებოდა და ხელებს-ჩამოწყვეტილი იდგა, გამადარი და მობუზული იყო. მის თვალებში უსახლგრო შიში, დარდი და სულის-კეცვება მოსჩანდა. ტურები უთროდა და მთელი ტანი უკანკლებდა. ხელები დავკრუნხა, კისერი ვაუწერებოდა და გაუგებელდა. ჩემს წინ სულ უბრალო, საწყალი, მობუზული, უხმო და მორჩილი გომბია იდგა. შემეცოდა, შემებრალა, მაგრამ ხმა არ გავცეცა.

— შენ აქ მოიკადე. ჯერ მე წავალ და მერე შენ წამოდი.

მივიხედ-მოვიხედე და სირბილით სახლისაკენ გავსწიე. გზაში ხან ერთ ხეს ვეფერებოდი, ხან შერორს. უკანასკნელ ხესთან ვაეჩერდი, შევისვენე, სული მოვითქევი და ეზო დავგვივრე. საფეხობებში ჩაუჭებოდა მცემდნენ, გულში რაღაცა მაწყვებოდა, პირში ნერწყვი გამიშრა; დამცხა, დავსუსტდი და ფეხზე ძლიეს-და ვიდექი. მერე კაკალს მოვშორდი და... ტყვია ნაკრავივით შევდექი... გავშრი, ვავებმი. ჩემს პირდაპირ ფანჯარაში დედა-ჩემი იდგა და მე მიყურებდა. ეკაც წამომშოვდა და კაკალს გვერდით იდგა.

თავი დავღუნე და ნელის ნაბიჯით კიბისაკენ წავედი. ჩემს ოთახში შევედარი, კარი ჩავიკეტე და ლოგინზე პირქვე დავეხმე.


კოტა ხნის შემდეგ ოთახებიდან რაღაცა ლაპარაკი მომესმა. კარებთან მივედი და ყური დავუღვე. დედა-ჩემი ეკას რაღაცას ეუბნებოდა. ლაპარაკი მალე შესწყდა და [სიჩუმე] ჩამოვარდა. ფეხზე ძლიეს ვიდექი, მთელი ტანი მიბუზოდა. ძველები დამტრეფული ჰქონდა, ხახა გამიშრა და ძლიეს-და ვსუნთქავდი. თავში თითქოს ტყვია ჩამისხესო, ხან აქეთ გავმომივარდებოდა და ხან იქით. ისე

ლოგინზე მივწყვი და ვფიქრობდი, როგორ-ღა დავენახო, ან რა ვუთხარა-მეთქი დედა-ჩემს.

ათიოდ წუთის შემდეგ, ვარედან ჩვენ მოჯამაგირის ხმაურობა მომესმა. ხმაურობაზე მივხვდი, რომ ურემს აბამდნენ. ისე წამოვდექი და ფანჯრის კუთხიდან ფრთხილად ვაიხივედი. ურემი შებმული იდგა. სახლიდან მოჯამაგირე გამოვიდა და ურემში ერთი პატარა ბოხჩა ჩაავლო. მერე ფარდაც დააო და ღერძს საპირი წაუსვა. მიხვდი, რაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ სასენებო არა მჯეროდა და ჯერ კიდევ იმდე მქონდა, რომ მოლოდინი არ გამომართლებოდა.

მაგრამ შევცდი. ეზოში ეკა გამოჩნდა და ლსლასით ურემთან მივიდა. თავზე შალი ჰქონდა წამოფარებული და პირსახე-ღა უჩანდა, ღრემთან გაიერდა, ქალს ხელი მოაივლო, მობრუნდა და დამინახა. მე ტყვია-ნაკრავივით უკან გადავბტი და დავიშალე. მერე ცალის თვალით ისევ ვაიხივედი. ეკა ურემში იჯდა, ჩემს ფანჯარას მისჩერებოდა და რაღაცა ელოდა, საწყლად, შესაბარლისად და გულსაკლავად გამოიყურებოდა. მოჯამაგირემ სახე დაარტყა კამჩებს და ურემი დაიძრა. ეკა კოტა ხანს კიდევ იყურებოდა ჩემსკენ, მერე ურემზე მიყვა და პირსახე ბოხჩაში ჩაიშალა.

გაონი ტროდა. **საპარტილუს კვოლიზიის მუზეუმი**
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ




წმინდა გიორგი.— ფრანგული ქანდაკება ღაფისი.

უცბა რაღაცამ მიკინა გულზე და ჩემეტა დამიწყობინდა გარედ გავარდნილიყავი, ურემს დავწეოდი და

სათვის მეთქვა რამე: ან პატრება მეთხოვა, ან წუგეში მცეკა, ან რაიმე იმედი მიმეცა, მაგრამ ისე ვიკავე დაღლილი და მოწყვეტილი, რომ საწოლამდის ძლივს მივდი, ზედ დავეცო

და ჩემი დიკარგული პატრონება და შერცხენილი ახალგაზრდა ზღობა ცრემლით გამოვივლოვე.

მ. აღმაშვილი



კაფიეცა "გაზეთის" საზოგადოებაში.



ტფილისის ფისტის საჯგური.

რედაქტორ-გამომცემი ალ. ზ. ჯაბაძე